



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს

აკადემიური კონკურსის ჩატარებისა

და

აკადემიური თანამდებობის დაკავების

წესი

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე წესი, საქართველოს უმაღლესი განათლების და შრომის კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად, განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის სახეებსა და აკადემიური თანამდებობაზე დანიშნული პირების სამუშაოს შინაარსს, აკადემიურ თანამდებობაზე პირების დანიშვნის წესსა და პროცედურებს, აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების პირობებს.

### **მუხლი 2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი**

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

### **მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის ვადა**

1. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე ინიშნება 4 წლის ვადით.
2. ასისტენტ პროფესორისა და ასისტენტის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა განისაზღვრება სამი წლით.

### **მუხლი 4. აკადემიური პერსონალის სამუშაოს შინაარსი**

1. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში ან/და წარმართავენ მას.
2. უნივერსიტეტის პროფესორი არის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისა, ან პროგრამის სავალდებლო კომპონენტში შემავალი მოდულის სწავლებისა და განვითარების ხედვა და შესაბამის სფეროში სარგებლობს აკადემიური, პროფესიული ან/და სამეცნიერო ავტორიტეტით.
3. პროფესორი ზრუნავს შესაბამისი პროგრამის/პროგრამაში შემავალი მოდულის მიმართულების ფარგლებში საგანმანათლებლო კურსების განვითარებაზე, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზებაზე, ასევე, პროფესორს პრიორიტეტი ენიჭება სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობის თვალსაზრისით.
4. ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები უნივერსიტეტის მიზნებიდან და სახიდან გამომდინარე, ჩართულები არიან სასწავლო კურსების განხორციელებასა და თავიანთი მიმართულების შესაბამისად, სამეცნიერო კვლევაში.
5. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს.

### **მუხლი 5. აკადემიური პერსონალის დატვირთვა**

1. აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვას შეადგენს:
  - ა) სასწავლო პროცესის განხორციელება, ლექციების, სემინარების და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება
  - ბ) სასწავლო კურსის შინაარსზე, სალექციო მასალაზე და სასემინარო დავალებების შემუშავებაზე/შესწორებაზე მუშაობა
  - გ) სამეცნიერო კვლევის განხორციელება

- დ) სტუდენტთა პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტის კვლევითი სამუშაოს (საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი) ხელმძღვანელობა
  - ე) სტუდენტთა პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო აქტივობების (სამეცნიერო სტატიები, მცირე კვლევები და ნაშრომები) განხორციელებაში დახმარება
  - ვ) საგანმანათლებლო პროგრამის ან/და პროგრამაში შემავალი მოდულების/სასწავლო კურსების შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ განვითარებაზე ზრუნვა
  - ზ) ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა
  - თ) სტუდენტთა კონსულტირება საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლასთან დაკავშირებულ შინაარსობრივ საკითხებზე
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, მისი სამუშაო დატვირთვაში ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აქტივობების ოდენობა შეადგენს:
- ა) პროფესორის შემთხვევაში - არაუმეტეს 16 საათს;
  - ბ) ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის შემთხვევაში - არაუმეტეს 21 საათს.
3. ცალკეული პრაქტიკული შინაარსის მიმართულებისთვის (უცხო ენების სწავლება, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება) შესაძლებელია აკადემიური პერსონალის სალექციო-პრაქტიკული დატვირთვის ოდენობა გაიზარდოს 24 საათამდე.
4. ცალკეულ სემესტრში, კონკრეტული პროფესორის სამუშაო დატვირთვის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია მისი დატვირთვის ოდენობის გაზრდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული დამატებითი ანაზღაურებით.
5. სპეციფიური კატეგორიის, სირთულისა ან მოცულობის კომპონენტების (სამაგისტრო ნაშრომი, დიდი კვლევითი პროექტი, უცხოენოვანი სასწავლო კურსი და ა. შ.) განხორციელებისთვის აკადემიურ პერსონალს ეძლევა ხელშეკრულებით განსაზღვრული დანამატი.

### **მუხლი 6. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. აკადემიური კონკურსის თარიღი და პირობები, მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით
3. კონკურსის პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის საინფორმაციო სივრცესა და ვაკანსიების საინფორმაციო სივრცის (ბეჭდური ან ინტერნეტ მედია) საშუალებით, საბუთების მიღების დაწყებამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე.

### **მუხლი 7. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები**

1. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს კანონმდებლობითა და ამ წესით განსაზღვრული აკადემიური ან პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის.
2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი კონკურსანტების რაოდენობა აღემატება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობას, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის უფლებას მოიპოვებენ საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობის შესაბამისი კონკურსანტები, რომლებიც ძირითად და დამატებით საკონკურსო კრიტერიუმებთან შესაბამისობის მაჩვენებელთა ერთობლიობით უპირატესი შედეგი აჩვენეს სხვა კონკურსანტებთან მიმართებით.

## **მუხლი 8. აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები**

### **1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
- დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხედვა და სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

### **2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

### **3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხით ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით;
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები.
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

### **4. ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან - შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით - უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

## **მუხლი 9. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები:**

### **1. პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე**

- ა) საზღვარგარეთ (აშშ ან ევროპის ქვეყნებში) მიღებული დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- ბ) საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება
- გ) საქართველოში ან/და საზღვარგარეთ შესაბამის დარგში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- ე) შესაბამისი დარგის პროგრამის განხორციელების ხედვა.

### **2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე**

- ა) დარგის ადექვატური პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგი ნიშნით:

ა.ა) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილებით შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

ა.ბ) სამეცნიერო-კვლევითი (არანაკლებ 5 პუბლიკაციისა შესაბამის დარგში) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის

მუშაობის გამოცდილებით;

ა.გ) საზღვარგარეთ (აშშ და ევროპის ქვეყნებში) პრაქტიკული ან სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

3. ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის

ა) დარგის ადექვატური პროფესიული გამოცდილება - არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება, რაც დაკავშირებულია შესაბამის დარგში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები.

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

### **მუხლი 10. უცხოენოვანი პროგრამების აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმები**

1. უცხოენოვანი პროგრამის ან პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის განსახორციელებლად გამოცხადებული კონკურსისთვის, დამატებით კრიტერიუმად წესდება კონკურსანტის მიერ ენობრივი კომპეტენციის დემონსტრირება პროგრამის შესაბამისი კომპონენტის განხორციელების ენაში, თუკი აღნიშნული ენა კონკურსანტის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს

2. უცხო ენის კომპეტენცია კონკურსანტს დადასტურებულად ჩაეთვლება:

ა) შესაბამის ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში

ბ) შესაბამის ენაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის / სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში

გ) ენობრივი კომპეტენციის ფლობის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობას, ენობრივ კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოთი (CEFR) დადგენილი კომპეტენციათა აღმწერის შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, B2 დონის ენობრივი კომპეტენციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა:

ა) Cambridge English First (FCE),

ბ) BEC Vantage,

გ) IELTS 5-6.5,

დ) TOEFL iBT 87-109,

ე) Michigan ECCE,

ვ) PTE General Level 3,

ზ) PTE Academic 59-75,

თ) Trinity ISE II

4. აკადემიური კონკურსის მონაწილე, უფლებამოსილია თავისი უცხოენოვანი კომპეტენცია დაადასტუროს კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გამოცდის საშუალებით.

### **მუხლი 11. დამატებითი კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისთვის:**

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კონკურსში დააწესოს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დამატებითი კრიტერიუმები.

- ა) შესაბამის დარგში პრაქტიკული გამოცდილება;
- ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;
- გ) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- დ) უცხო ენების ცოდნა;

2. დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საკონკურსო კრიტერიუმებით გასული კონკურსანტების რაოდენობა აღემატება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობას, შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის.

### **მუხლი 12. საკონკურსო კომისია**

1. აკადემიური კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის და საკონკურსო კრიტერიუმების შესაბამისი კანდიდატთა შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია სულ მცირე სამი წევრით (მათ შორის ერთი კომისიის თავმჯდომარე და ერთი მდივანი).

2. საკონკურსო კომისიაში შედიან შესაბამისი დარგის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

- ა) ადგენს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კანდიდატთა პროფესიული კვალიფიკაციის გათვალისწინებით ახდენს კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენას.

### **მუხლი 13. კონკურსის ეტაპები:**

აკადემიური კონკურსი ტარდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა
- ბ) კონკურსანტების ენობრივი კომპეტენციის ტესტირება (უცხოენოვან პროგრამისათვის)
- გ) საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება

### **მუხლი 14. საკონკურსო კომისიის მიერ საბუთების გადარჩევა**

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა ტარდება კონკურსანტის დაუსწრებლად, კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეიძლება მოწვეულ იქნეს ინტერვიუზე.

2. საბუთების გადარჩევის დროს მოწმდება:

- ა) შეტანილია თუ არა განაცხადი საკონკურსო ვადის დაცვით
- ბ) წარმოდგენილი არის თუ არა შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის აკადემიური თუ პროფესიული ნიშნით კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი.

3. საბუთების გადარჩევის შედეგად საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, კონკურსის მეორე ეტაპზე გასული კონკურსანტების შესახებ.

4. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის მიერ კონკურსის პირველი ეტაპის

გადალახვისა და შემდგომ ეტაპზე დაშვების შესახებ, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები

5. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის მიერ კონკურსის პირველი ეტაპის ვერ გადალახვის შესახებ, თუკი საკონკურსო განაცხადი შეტანილია საკონკურსო ვადის დარღვევით, ან წარმოდგენილი საბუთებით ვერ დასტურდება კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის მოთხოვნებთან.

### **მუხლი 15. ენობრივი კომპეტენციის ტესტირება**

1. ენობრივი კომპეტენციის ტესტირება ტარდება უცხოენოვან პროგრამის /პროგრამის კომპონენტის განსახორციელებლად კონკურსში მონაწილე იმ კონკურსანტებისთვის, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის აკადემიური თუ პროფესიული ნიშნით კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობის ყველა დოკუმენტი, გარდა უცხო ენის ფლობის დოკუმენტისა.

2. ენობრივი კომპეტენციის ტესტირება ხდება უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საგამოცდო ტესტის მეშვეობით. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

### **მუხლი 16. გასაუბრება**

1. გასაუბრების დროს საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსის, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შესაბამის დარგში არსებული გამოწვევების ხედვას, ასევე კომუნიკაციის, თვით პრეზენტაციის, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარებს

2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრებამ შესაძლებელია მოიცვას იმიტირებული ლექციის ჩატარება, რის შესახებაც ეცნობება კონკურსანტს

### **მუხლი 17. საკონკურსო კომისიის ოქმი**

1. აკადემიური კონკურსის თითოეული ეტაპისთვის გაწეული სამუშაოს აღწერას და შეჯამებას საკონკურსო კომისია ახდენს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში

2. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში მიეთითება:

ა) უნივერსიტეტის დასახელება

ბ) საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი

გ) საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

დ) საკონკურსო კომისიის დღის წესრიგი

ე) კონკურსის მოცემულ ეტაპში მონაწილე კონკურსანტები

ვ) კომისიის მიერ თითოეული კონკურსანტის მიმართ გამოთქმული მოსაზრება, შეფასება შესაბამისი არგუმენტაციით

ზ) საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თითოეული კონკურსანტის მიმართ

3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

### **მუხლი 18. აკადემიური კონკურსის შედეგები**

1. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება და ეცნობება კონკურსის ყველა მონაწილეს (კონკურსის შედეგების და მიუხედავად)

### **მუხლი 19. აპელაცია**

1. აკადემიური კონკურსის მონაწილე, უფლებამოსილია შემოიტანოს აპელაცია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებაზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად წარდგენის შესახებ

2. აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს ერთ ერთ შემდეგ გარემოებას:

ა) კომისიის წევრის/წევრების მიკერძოებულობას/ინტერესთა კონფლიქტის არსებობას)

ბ) კომისიის წევრთა მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის, ამ წესისა და საკონკურსო პირობების დარღვევას.

3. აპელაცია წარედგინება უნივერსიტეტში, საკონკურსო კომისიის წარდგინების გამოქვეყნების შემდეგ, აპელაციების მისაღებად წინასწარ დადგენილ პერიოდში.

### **მუხლი 20. აპელაციის განხილვის წესი**

1. აპელაციის პირველად განხილვას ახორციელებს უნივერსიტეტი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის მონაწილეობით.

2. დაუსაბუთებელი აპელაცია უბრუნდება განმცხადებელს.

3. დასაბუთებული აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადი განსახილველად გადაეცემა საკონკურსო კომისიას, ამასთან კომისიის მუშაობაში მონაწილეობას არღებულობენ პირები, რომელთა მიმართ აპელაცია წამოყენებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით. ქვორუმის უზრუნველსაყოფად, დასაშვებია კომისიაში სხვა პირების მოწვევა.

4. კომისია განიხილავს აპელაციას და გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური კონკურსის ან მისი შესაბამისი ეტაპის განხორციელების წესის ანალოგიურად.

5. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს და აისახება საკონკურსო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებასა და წარდგინებაში.

### **მუხლი 21. კონკურსის შედეგები**

1. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება და (არსებობის შემთხვევაში) აპელაციის შედეგები წარედგინება რექტორს, რომელიც კომისიის წარდგინების შესაბამისად, გამოსცემს ბრძანებას აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატურების დანიშვნის თაობაზე და მათთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.

2. რექტორის გადაწყვეტილება აკადემიურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე უარის შესახებ, შესაძლებელია მიღებული იქნეს მხოლოდ:

ა) კანდიდატის მიერ შრომითი ურთიერთობის წარმოშობაზე უარის შემთხვევაში

ბ) კანდიდატის მიერ აფილირებაზე უარის შემთხვევაში (თუ აღნიშნული გათვალისწინებული იყო საკონკურსო პირობებით)

3. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



## **მუხლი 22. აკადემიური პერსონალის აფილირება**

1. აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნული პირის მიერ ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრას.
2. აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტთან შეთანხმებით განსაზღვრავს თავის აფილირებას, ამასთან აკადემიური პერსონალი შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე აფილირების პირობით, რის შესახებ მიეთითება საკონკურსო პირობებში.
3. აფილირების შედეგად, აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში, რომლის პროცესში აკადემიური პერსონალი:
  - ა) უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო ან/და კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას,
  - ბ) ახორციელებს სამეცნიერო კვლევას და აქვეყნებს მის შედეგებს უნივერსიტეტის სახელით
  - გ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
  - დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და მათი აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
4. უნივერსიტეტთან აფილირება მისი ვადის განმავლობაში გამორიცხავს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ამ პირის აფილირების შესაძლებლობას.
5. შეთავსებით სამუშაოზე დასაქმების შესაძლებლობა განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით და არ უნდა უშლიდეს ხელს აფილირებული პერსონალის უნივერსიტეტში მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას
6. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია აფილირების ხელშეკრულების დადებამდე აცნობოს და შეუთანხმოს უნივერსიტეტს მისი შეთავსებით სამუშაოს (მათ შორის სამეცნიერო-პედაგოგიური სამუშაოს) შესახებ და შეთავსებით სამუშაო ადგილის/სამეცნიერო-პედაგოგიური დატვირთვის თითოეული მოსალოდნელი ცვლილების თაობაზე.